28/08/2026

კათოლიკოს-პატრიარქმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულთან დაკავშირებით სიონის საპატრიარქო ტაძარში წირვა აღავლინა

28 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია თორმეტი საუფლო დღესასწაულიდან ერთ-ერთს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინებას აღნიშნავს.

დღესასწაული განსაკუთრებული სიხარულით აღინიშნა თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში, რადგან ის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელზეა აგებული.

სადღესასწაულო წირვა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა შიო III-მ აღავლინა. თანამსახურებდნენ ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსი დოსითეოსი (ბოგვერაძე) და სხვა სასულიერო პირები.

ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა ტაძარში შეკრებილთ დღევანდელი დღესასწაული მიულოცა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ქადაგების ბოლოს მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ კიდევ ერთხელ გაიხსენა ნეტარხსენებული კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და მისი უკვდავი სული

sazu.ge